

## გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის პირობები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) მიერ გამოცხადებული გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (შემდგომში – გრანტი) მიზანია, ხელი შეუწყოს გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას, ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) გზით შეარჩიოს და დააფინანსოს გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური კვლევების გამოვლენას, რომელთა შედეგად მიღებულ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე მოთხოვნა ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე და პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტების გამოვლენა და კვლევის შედეგად სამრეწველო ნიმუშის/პროტოტიპის სახით, ახალი/გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციის და ა.შ. შექმნა და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავება/სრულყოფა.

2. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში საგრანტო პროექტები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აპრილის N85 ბრძანების პირველი დანართით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ სამეცნიერო მიმართულებებში. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის (ამ ბრძანების დანართი N12) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

- 1 - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- 2 - ინჟინერია და ტექნოლოგიები;
- 3 - სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
- 4 - აგრარული მეცნიერებები;
- 5 - სოციალური მეცნიერებები (მხოლოდ ინტერდისციპლინური პროექტების შემთხვევაში)
- 6 - ჰუმანიტარული მეცნიერებები (მხოლოდ ინტერდისციპლინური პროექტების შემთხვევაში)

3. ამ კონკურსის მიზნებისათვის ინტერდისციპლინურ პროექტად ჩაითვლება პროექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „1“, „2“, „3“ და „4“ მიმართულებებიდან ერთ-ერთს მაინც და „5“ და „6“ მიმართულებებიდან რომელიმეს მაინც, აგრეთვე „1“, „2“, „3“ და „4“ მიმართულებების ნებისმიერ კომბინაციას.

4. კონკურსი ტარდება „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

### მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახდენს ფონდი.
2. ფონდი უზრუნველყოფს:
  - ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;

გ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

დ) პოტენციური აპლიკანტებისათვის პროექტების მომზადებისა და კონკურსის პირობების გაცნობის მიზნით ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებას;

ე) დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

ვ) დამოუკიდებელი ექსპერტებისა და კომისიისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პროექტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას პროექტის ხელმძღვანელთან და წამყვან ორგანიზაციასთან შეთანხმებით;

ზ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ფონდში წარმოსადგენი დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისგან:

ა) პროექტის შინაარსი, რომელიც იტვირთება ონლაინ ელექტრონულად ბაზაში ინგლისურ ენაზე და შედგება შემდეგი ნაწილებისგან: პროექტის თავფურცელი, საპროექტო წინადადება, პროექტის საერთო ბიუჯეტი, ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთება, პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, პროექტის ხელმძღვანელისა და ძირითადი პერსონალის CV-ები, უცხოელი კონსულტანტის CV (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, პროექტის რეზიუმე და პროექტის ხელმძღვანელის წინა, დასრულებული კვლევითი პროექტის რეზიუმე, უცხოელი კონსულტანტის ხელმოწერილი თანხმობის წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში აიტვირთება Pdf ფაილის სახით). იგივე ნაწილის ქართული ვერსია იტვირთება ელექტრონულ ბაზაში გაერთიანებული Pdf ფაილის სახით.

ბ) პროექტზე თანდართული დოკუმენტები იკრიბება და აიტვირთება ბაზაში ერთ Pdf ფაილის სახით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს შემდეგს: წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და წესდება, ამავე ორგანიზაციების საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა, პროექტის ხელმძღვანელისა და ძირითადი პერსონალის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის მოწმობა, ან პასპორტი) და მათი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთები (დიპლომი, ან დოქტორანტი/მაგისტრანტის შემთხვევაში ცნობა შესაბამისი ორგანიზაციიდან), თანადაფინანსებელი ორგანიზაციის/ფიზიკური პირის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) თანადაფინანსების თანხმობის წერილი თანხის მითითებით და სხვ. იურიდიული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ფონდი მოხსნის კონკურსიდან პროექტს, თუ საკონკურსო დოკუმენტაციის პირველი ნაწილი (ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) არასრულყოფილად არის წარმოდგენილი.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (პროექტზე თანდართული დოკუმენტები) არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

6. საგრანტო კონკურსის პირობებთან და დადგენილ მოთხოვნებთან (ვადები, წესი, ფორმატი და ა.შ.) შეუსაბამო ან ყალბი ინფორმაციის შემცველი პროექტი შეიძლება მოიხსნას კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე.

### მუხლი 3. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა) წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის სახით – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) ძირითადი პერსონალის სახით – მაგისტრანტს, დოქტორანტს, რეზიდენტურის სტუდენტს, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

2. პროექტს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია როგორც

პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

3. პროექტს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი - ფიზიკური პირი, პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საქმეებზე.

4. პროექტის ძირითად პერსონალში ჩართული უნდა იყოს არანაკლებ 1 ახალგაზრდა მკვლევარი - პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ან დოქტორანტი, ან მაგისტრანტი, ან რეზიდენტურის სტუდენტი.

5. პროექტში შესაძლებელია ჩართული იყოს უცხოეთის მოქალაქე კონსულტანტი. აღნიშნული პირი არ შეიძლება იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი. კონსულტანტის საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი გათვალისწინებული უნდა იქნას „საქონელსა და მომსახურების“ ხარჯვით კატეგორიაში.

6. პროექტის ხელმძღვანელმა არ შეიძლება შეითავსოს კოორდინატორის ფუნქცია.

7. დაუშვებელია პროექტის ძირითადმა პერსონალმა შეითავსოს დამხმარე პერსონალის ფუნქციები.

8. ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს ძირითადი პერსონალის სტატუსით არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფონდის მიერ გამოცხადებულ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (AR), ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებისა (FR) ან/და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (DI) კონკურსებში გამარჯვებულ ჯამში 2-ზე მეტი პროექტში.

9. ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე დროს არ უნდა ხელმძღვანელობდეს გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსებში გამარჯვებულ ერთზე მეტ პროექტს.

10. დაუშვებელია გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში ისეთი საპროექტო განაცხადების შემოტანა, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვა ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებთან.

მაგალითად:

ა) განმცხადებელს პროექტის ხელმძღვანელის სტატუსტით არ შეუძლია კონკურსში წარმოადგინოს ერთზე მეტი პროექტი.

ბ) განმცხადებელს ძირითადი პერსონალის სტატუსტით არ შეუძლია კონკურსში მონაწილეობა ორზე მეტ პროექტში.

გ) განმცხადებელს პროექტის ხელმძღვანელის სტატუსტით კონკურსში მონაწილეობისა და ერთი პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის სამეცნიერო ხელმძღვანელი ფონდის ერთ მიმდინარე გრანტში ზემოთ აღნიშნული სამი კონკურსიდან ერთ-ერთის ფარგლებში (FR, AR, DI), ან არის აღნიშნულ სამი კონკურსიდან ერთ-ერთში გამარჯვებული საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაგრამ გრანტი დასრულებული და დახურული იქნება 2016 წლის 1 სექტემბრისთვის. მაგ. თუ ფონდის მიმდინარე გრანტი სრულდება და დაიხურება 2016 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, პროექტის ხელმძღვანელის სტატუსტით მეცნიერი ახალ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

დ) განმცხადებელს ძირითადი პერსონალის სტატუსტით კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის ჩართული ძირითადი პერსონალის სტატუსტით ფონდის ზემოთ აღნიშნული სამი კონკურსიდან ერთ-ერთის ფარგლებში (FR, AR, DI) ერთზე მეტ მიმდინარე გრანტში.

ე) მეცნიერს შეუძლია კონკურსში ძირითადი პერსონალის სტატუსტით ერთ პროექტში მონაწილეობა, თუ იგი ჩართულია ძირითადი პერსონალის სახით ერთ-ერთი კონკურსის (FR, AR, DI) ფარგლებში მიმდინარე ორ გრანტში, მაგრამ აღნიშნული პროექტებიდან ერთ-ერთი დასრულებული და დახურული იქნება 2016 წლის 1 სექტემბრისთვის.

ვ) მეცნიერს შეუძლია კონკურსში ძირითადი პერსონალის სტატუსტით ორ პროექტში მონაწილეობა, თუ იგი ჩართულია ძირითადი პერსონალის სახით ერთ-ერთი კონკურსის (FR, AR, DI) ფარგლებში მიმდინარე ერთ გრანტში, მაგრამ აღნიშნული პროექტი დასრულებული და დახურული იქნება 2016 წლის 1 სექტემბრისთვის.

11. პროექტში აუცილებელია წამყვანი ორგანიზაციის მონაწილეობა.

12. პროექტს შესაძლებელია ჰყავდეს თანადამფინანსებელი - იურიდიული, ან/და ფიზიკური პირი/პირები, რომელიც ფონდთან ერთად აფინანსებს კვლევას.

13. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 ან 24 თვე.

14. თუ პროექტი გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის პირველ ეტაპზე მიიღებს 43 და მეტ ქულას, მაგრამ ვერ მიიღებს დაფინანსებას, პროექტის ხელმძღვანელს, საკუთარი სურვილის მიხედვით, შეუძლია მოითხოვოს მიღებული ქულის შენახვა და ამ შემთხვევაში, აღნიშნული პროექტი მონაწილეობას მიიღებს 2017 წელს გამოცხადებულ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში 2016 წელს წარდგენილი პროექტითა და შესაბამისად, უკვე მიღებული ქულით.

15. კონკურსის ფარგლებში შეფასების პირველ ეტაპზე პროექტის მიერ 18 და უფრო დაბალი ქულის მიღების შემთხვევაში (მაქსიმალური 60 ქულის 30% და ნაკლები %) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს არ შეუძლია 2017 წელს გამოცხადებულ გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო გრანტების კონკურსში მონაწილეობის მიღება პროექტის ხელმძღვანელის სახით.

16. კონკურსში წარდგენილი პროექტი უნდა შეიცავდეს მოკლე რეზიუმეს ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც შესაძლოა ფონდმა საჯარო გახადოს.

17. მოთხოვნები გამარჯვებული პროექტის მიმართ:

ა) გამარჯვებული პროექტის განხორციელება უნდა დაიწყოს 2016 წლიდან.

ბ) გრანტის მიმღები ვალდებულია, საბოლოო ანაგარიშის წარდგენამდე პროექტით გათვალისწინებული კვლევის შედეგების შესახებ გამოაქვეყნოს არანაკლებ ერთი ორიგინალური სტატია ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ, საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში.

გ) საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (ორიგინალური სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [grant number ...]“.

დ) გრანტის სახსრებით შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ. ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით”.

#### **მუხლი 4. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები**

1. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება 12–თვიანი პროექტებისთვის არ უნდა აღემატებოდეს 120 000 ლარს, ხოლო 24–თვიანი პროექტებისთვის – 240 000 ლარს.

2. წლის განმავლობაში ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 120 000 ლარს. პირველი წლის ბიუჯეტი - ფონდიდან მოთხოვნილი წლიური დაფინანსება პირველი და მეორე საანგარიშო პერიოდებს შორის უნდა განაწილდეს თანაბრად 50% : 50% (მაგალითად, 120000 ლარიანი ბიუჯეტის შემთხვევაში პირველ პერიოდში ასათვისებელი თანხა უნდა შეადგენდეს 60 000 ლარს, შესაბამისად, მეორე პერიოდში ასათვისებელი თანხა იქნება 60 000 ლარი).

3. პროექტს შესაძლოა ჰყავდეს თანადამფინანსებელი, რომლის თანამონაწილეობა პროექტის დაფინანსებაში უნდა გამოიხატოს ფულადი შენატანის სახით. პროექტს შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე თანადამფინანსებელი.

4. წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯები უნდა აისახოს ხარჯვის კატეგორიაში „ზედნადები ხარჯები“. „ზედნადები ხარჯების“ მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის - ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7%-ს. გრანტის მიმღებისათვის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა) გრანტის გამცემისთვის ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში. პროექტის დასრულების შემდეგ ზედნადები ხარჯიდან აუთვისებელი თანხა გრანტის მიმღების მიერ ბრუნდება სახელმწიფო ბიუჯეტში.

5. ძირითადი პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი

თანხის (პროექტის ბიუჯეტის) 45%-ს (მაგ. თუ ფონდიდან მოთხოვნილი თანხა 120000 ლარია, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ანაზღაურების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 54 000 ლარს).

6. პროექტის დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. თანხები ავანსის სახით გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშებზე. პირველი ტრანში ავანსის სახით გაიცემა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხოლო ყოველი მომდევნო ტრანში – წინა ტრანშით გათვალისწინებული შედეგების შესრულების შესახებ ფონდში წარდგენილი ანგარიშების განხილვის აქტის საფუძველზე.

7. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი 1, 2, 3 (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და 4 (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ტრანშებით განსაზღვრულ თანხებს გადარიცხავს შესაბამისი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.

8. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

## **მუხლი 5. პროექტის ბიუჯეტი - ფონდიდან მოთხოვნილი თანხა**

1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

- ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას
- ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას
- გ) მივლინებას
- დ) საქონელსა და მომსახურებას
- ე) ძირითად აქტივებს
- ვ) ზედნადებ ხარჯებს

2. მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მუხლები/ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით (ამ ბრძანების დანართი №13).

3. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ბიუჯეტში არ შედის ხარჯვის კატეგორია „ზედნადები ხარჯები“, თანადაფინანსების სავალდებულო მინიმალური მოცულობა არის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 10%.

4. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

## **მუხლი 6. კონკურსის ეტაპები**

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება;
- ბ) პროექტების წარდგენა ელექტრონულად;

გ) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების კონკურსში მონაწილეობის შესახებ ერთობლივი განცხადების და პროექტის თავფურცლის შემოტანა ფონდში, რომელიც დამოწმებული იქნება შესაბამისი ხელმოწერებითა და ორგანიზაცი(ებ)ის ბეჭდ(ებ)ით;

დ) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ე) პროექტების შეფასება კონკურსის პირველ საფეხურზე საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;

ვ) გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი კომისიის მიერ კონკურსის მეორე საფეხურზე გადასული პროექტების შეფასება, პრეზენტაცია კომისიის წინაშე და გამარჯვებულების გამოვლენა;

ზ) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სიის დამტკიცება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანა და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

## მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ და ქართულ ენებზე ელექტრონული რეგისტრაციის სისტემაში არსებული რეგისტრაციის ინსტრუქციის თანახმად.

2. კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტის ხელმძღვანელმა ინგლისურ ენაზე ელექტრონული რეგისტრაციით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პროექტის თავფურცელი (ამ ბრძანების დანართი №2)

ბ) საპროექტო წინადადება (ამ ბრძანების დანართი №3)

გ) პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ძირითადი პერსონალის და საერთაშორისო/უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) CV-ები (ამ ბრძანების დანართი №4)

დ) პროექტის საერთო ბიუჯეტი და ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთება (ამ ბრძანების დანართი №5)

ე) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ამ ბრძანების დანართი №6)

ვ) პროექტის რეზიუმე/აბსტრაქტი (ამ ბრძანების დანართი №7)

ზ) პროექტის ხელმძღვანელის წინა 3 წლის განმავლობაში მინიმუმ ძირითადი პერსონალის სახით მისი მონაწილეობით განხორციელებული და დასრულებული, ერთი სამეცნიერო კვლევითი პროექტის რეზიუმე (ამ ბრძანების დანართი №8). სასურველია წარმოდგენილი იყოს ახალ, კონკურსში მონაწილე პროექტთან თემატურად ახლოს მყოფი დასრულებული პროექტის რეზიუმე.

თ) წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია (ამ ბრძანების დანართი №9)

ი) პროექტის კონსულტანტის ხელმოწერილი თანხმობის წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ამ ბრძანების დანართი №10)

3. კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტის ხელმძღვანელმა ქართულ ენაზე ელექტრონული რეგისტრაციით უნდა წარმოადგინოს ამავე მუხლის მე-2 პუნქტში (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი<sup>1</sup> ქვეპუნქტები) მითითებული დოკუმენტები ერთ PDF დოკუმენტად გაერთიანებული სახით.

4. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა, ელექტრონული რეგისტრაციით ასევე უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები გაერთიანებული ერთ PDF ფაილად:

ა) პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის და ძირითადი პერსონალის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლები;

ბ) პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორისა და ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები - დიპლომების ასლები (თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ<sup>2</sup> ან ცნობები (მაგისტრანტებისა და დოქტორანტების შემთხვევაში);

გ) პროექტში მონაწილე წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაცი(ებ)ის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაცემული 2016 წელს და წესდება), იმ შემთხვევაში თუ ის(ისინი) არ წარმოდგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

დ) საბუთი თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანადაფინანსებელი იურიდიული პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული. თანადაფინანსებელი უცხოური ორგანიზაციის შემთხვევაში აუცილებელია დოკუმენტის თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის წარმოდგენა;

ე) საბუთი თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის მიერ ხელმოწერილი. თუ თანადაფინანსებელი უცხოეთის მოქალაქეა, აუცილებელია დოკუმენტების თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის წარმოდგენა;

ვ) თანადაფინანსებელი იურიდიული, ან ფიზიკური პირის იურიდიული დოკუმენტები (რეგისტრაციის საბუთი, საბანკო რეკვიზიტები). თუ თანადაფინანსებელი უცხოური ორგანიზაცია ან/და უცხოეთის მოქალაქეა, აუცილებელია დოკუმენტების თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული

<sup>1</sup> აიტვირთება ინგლისური ვერსია თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად

<sup>2</sup> საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.

ქართულენოვანი თარგმანის წარმოდგენა.

5. აუცილებელია ფონდის კანცელარიაში წარდგენილი იქნას „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ქართულ ენაზე (ამ ბრძანების დანართი №11) მინიჭებული სარეგისტრაციო შიფრის მითითებით, შევსებული და ამობეჭდილი, ხელმოწერილი პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორისა და ძირითადი პერსონალის მიერ და პროექტის თავფურცელი (ამ ბრძანების დანართი №2). აღნიშნული განცხადება დამოწმებული უნდა იყოს წარმომდგენი (წამყვანი/თანამონაწილე) ორგანიზაცი(ებ)ის ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით და ორგანიზაცი(ებ)ის ბეჭდ(ებ)ით.

6. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2016 წლის 31 მაისის 00:00 სთ-მდე (თბილისის დროით). ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (ამ ბრძანების დანართი N 11) და პროექტის თავფურცელი (ამ ბრძანების დანართი N2) ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2016 წლის 2 ივნისს 16:00 სთ-მდე (თბილისის დროით). ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდის მიერ არ განიხილება.

7. პროექტის რეგისტრაციისას შესაძლებელია მიეთითოს არაუმეტეს სამი არასასურველი დამოუკიდებელი ექსპერტისა, რომელთაც არ გაეგზავნება წარმოდგენილი პროექტი შესაფასებლად.

8. პროექტის ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

9. აუცილებელია, პროექტების გამართულ ინგლისურ ენაზე წარმოდგენა. ექსპერტებთან იგზავნება პროექტის ინგლისური ვერსია. ინგლისურენოვანი თარგმანის ხარისხზე და სიზუსტეზე სრულად პასუხისმგებელია განმცხადებელი (პროექტის ხელმძღვანელი და წამყვანი ორგანიზაცია).

10. დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ კონკურსის პირველ ეტაპზე განხილული იქნება ამ ბრძანების ინგლისურ ენაზე შევსებული № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 დანართები. ამ ბრძანების № 3 დანართის ინგლისური ვერსიის გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს (ინგლისური ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 11 ზომის შრიფტით Times New Roman, 1 ინტერვალით. გვერდის ველები: მარცხნივ და მარჯვნივ 1 სმ.; ზემოთ და ქვემოთ 1 სმ). მთლიანობაში ამ ბრძანების N 3-10 დანართების ინგლისური ვერსიების გვერდების რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 35 გვერდს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი არ განიხილება.

12. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

13. შესაფასებლად განხილული იქნება მხოლოდ ის პროექტი, რომლისთვის ბაზის მიერ მინიჭებული შიფრიც შეტანილი იქნება „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადებაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ“.

## **მუხლი 8. პროექტების შეფასება**

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შეფასების I საფეხურზე გაივლის ექსპერტიზას პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

2. დამოუკიდებელი ექსპერტები პროექტს აფასებენ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების დანართი 2-ის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. პროექტის შეფასება უნდა განახორციელოს სულ ცოტა ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა. ფონდს შეფასების შედეგი წარედგინება თავის მიერ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.

3. განხილვის მეორე საფეხურზე გადასვლის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასების სრული 60 ქულიდან 43 ან მეტი ქულის მიღება.

4. დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე პროექტის კონკურსის მეორე საფეხურზე გადასასვლელი ქულა გამოიანგარიშება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით მიმართულებებისა და ქვემიმართულებების მიხედვით.

5. კონკურსის II საფეხური ითვალისწინებს კომისიის წინაშე პრეზენტაციით წარდგომას. ამასთან, კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს პროექტების კორექტირება (ბიუჯეტის ჩათვლით).

6. კომისია შეფასების II საფეხურზე გადასულ პროექტებს აფასებს საქართველოს მთავრობის N85 დადგენილების დანართ 2-ს მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. ამასთან,

კომისია უფლებამოსილია გამოყოს სათადარიგო პროექტები, რომლებიც ჩაენაცვლება გამარჯვებულ პროექტებს იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო ამ გამარჯვებულებთან არ გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.

7. დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებებისა და კომისიისგან მიღებული ქულების საფუძველზე პროექტების საბოლოო შეფასება გამოიანგარიშება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

8. დამოუკიდებელ ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

9. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, პროექტის ძირითადი პერსონალის, წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდი უზრუნველყოფს მათი პროექტის შესახებ ექსპერტთა მიერ გაკეთებული დასკვნების გაცნობას.

10. ექსპერტებს ეგზავნებათ მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია. პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროექტის ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობაზე.

## **მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი**

1. დაუშვებელია დამოუკიდებელი ექსპერტი, ან კომისიის წევრი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობდეს ექსპერტი ან კომისიის წევრი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითად პერსონალთან ან მონაწილეობდა მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.“

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. კომისიის წევრი და დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია კომისიას და გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კომისიის წევრის, ან დამოუკიდებელი ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს კომისიის წევრის/დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

## **მუხლი 10. საგრანტო ხელშეკრულება**

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციები ფონდს წარუდგენენ წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ არა აქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება.

3. პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის ფონდსა და გრანტის მიმღებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ გამოგონებას დააპატენტებს გრანტის მიმღები, ფონდს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან



გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების პროცენტულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: შემდეგნაირად: 70% – გრანტის მიმღებს (35 % იურიდიულ პირს, 35% მეცნიერთა ჯგუფს - ფიზიკურ პირებს) და 30 % – ფონდს, როგორც გრანტის გამცემს. აღნიშნულთან დაკავშირებით გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

4. გრანტის მიმღებს ეკრძალება შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების 5 წლის განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის ფონდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (ტერმინი „ნაწარმოები“ აქ გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს, კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნაშრომებს).

5. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არაუგვიანეს 20 დღით ადრე (გარდა პროექტის განხორციელების ბოლო საანგარიშო პერიოდისა), საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საგრანტო პროექტის განხორციელების ბოლო საანგარიშო პერიოდში ცვლილების შეტანა შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის საერთო ბიუჯეტის 20%-ის ფარგლებში.

## **მუხლი 11. პროექტის შესრულების მონიტორინგი**

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკით დაგეგმილი პროექტის სამეცნიერო მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

4. ფონდს არ აქვს ვალდებულება მონიტორინგი განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკით.

5. გრანტის მიმღები ვალდებულია ფონდთან ანგარიშგება აწარმოოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების მიხედვით.

6. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსს. გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;

დ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

7. ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს.

8. ფონდი არ არის უფლებამოსილი თავად შეაფასოს დასრულებული პროექტის სამეცნიერო ღირებულება და არ არის პასუხისმგებელი პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების

შედეგებზე;

9. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნა ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

## **მუხლი 12. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება**

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდის წესდებით და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად შეწყდება პროექტი), თუ:

ა) მოხდა შესაბამისი წამყვანი ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში გაუქმდა მისი ავტორიზაცია;

ბ) გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ან/და ანგარიშში წარმოადგინა ყალბი ინფორმაცია.

3. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფოსრს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა, აუთვისებელი ნაშთი, შეწყვეტამდე მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაცემული გრანტის მიმღებთა საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება.

4. გრანტის შეჩერების, ან შეწყვეტის შემთხვევაში გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

5. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში, წარმოდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, ფონდის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

6. პროექტის გამარჯვების შემთხვევაში არ შეიძლება პროექტის ხელმძღვანელის შეცვლა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.